# ხელშეკრულება №19

ქ. ფოთი                                                    2 ნოემბერი 2015 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ქალაქ ფოთის ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლა (მის: ქ. ფოთი წმინდა ნინოს №4) მისი წარმომადგენლის დირექტორის ფრიდონ ბირკაიას სახით (შემდგომში „შემკვეთი")
და მეორე მხრივ მცხეთის სასტუმროს მეპატრონე ინდ/მეწარმე ზაქარია ხიზანიშვილი. (შემდგომში „შემსრულებელი")
შეთანხმდნენ შემდეგზე:

## 2 ხელშეკრულების საგანი:

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2015 წლის 4-5 ნოემბერს ქ. მცხეთაში საშემოდგომო პირადი პირველობის ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით **ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლის** სპორტსმენთა სასტუმროს მომსახურეობა.

შესყიდვის ობიექტი--- სასტუმროს მომსახურეობა
შესყიდვის კატეგორია -- 55100000 - სასტუმროს მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი 55130000 - სასტუმროსთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები

## 3. ანგარიშსწორება:

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის საფასური შეადგენს 315 ლარი (სამას თუთხმეტი ლარი)
3.2 ანგარიშსწორების განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3.3 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

## 4 ვადები.

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე ( 2015 წლის 2 ნოემბერიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

## 5 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

5.1 „დამკვეთს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსრულებელს "წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის განხორციელება შეთანხმებული მოცულობის თანახმად.
5.2 მოსთხოვოს „შემსრულებს" შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და ხარისხიანად.
5.3 „დამკვეთი" ვალდებულია დროულად გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური.
5.4 „შემსრულებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ზედმიწვენით დაცვა.

## 6 დავები:

6.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
6.2 მხარეთა შორის მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7 ფორს-მაჟორი:

7.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოაღნიშნული შეუსრულების ან შესრულების შეფერხების მიზეზი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების სტიქიური უბედურება.

## 8 ხელშეკრულებების სხვა პუნქტები:

7.1 ხელშეკრულების სხვა პუნქტები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად.
7.3 ცვლილებები ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას მხარეთა მიერ ურთიერთმოლაპარაკების გზით.

## 9 მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსრულებელი"

ქალაქ ფოთის ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლის

დირექტორი ფრიდონ ბირკაია

მის: ქ. ფოთი, წმინდა ნინოს ქ.№4
ს/კ 215136573
სახელმწიფო ხაზინა

„დამკვეთი"

ინდ/მეწარმე

ზაქარია ხიზანიშვილი

ლიბერთი ბანკი მცხეთის ფილიალი
ა/ა GE51LB0112183188345000
ბ/კ LBRTGE22